საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია" - მე -5 კომპონენტის (1-2 დონის მოდულის პილოტირება პროფესიული ორიენტაციისთვის სოფლის მეურნეობის მოსამზადებელ კურსებში და სხვა სახელობო სფეროებში) ფარგლებში **ფსიქოლოგის შერჩევის მიზნით.**

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 25 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 30 იანვრამდე.**

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„ფსიქოლოგი"**, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა **– 2**;

კონკურსის შედეგად, ფსიქოლოგის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 17 აპრილის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში ფსიქოლოგის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 2 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 1300 ლარის ოდენობით.

ფსიქოლოგის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიის დარგში.
ბ) ბავშვთა და მოზარდთა განვითარების თავისებურებების ცოდნა;
გ) მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შექმნის გამოცდილება;
დ) მოდულური პროგრამების სპეციფიკის ცოდნა;
ე) პროფესიული განათლების სისტემის ცოდნა;
ვ) ქართულ ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარები.

ფსიქოლოგის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) შერჩეული კომპეტენციებისათვის მოდულებისა და მეთოდოლოგიის შექმნაში მონაწილეობა:
ა.ა) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის 4 მოდულის (კულინარიის, კონდიტერიის, ხის სამუშაოების და ელექტროობის მიმართულებით) ან (მევენახეობის, რძის პროდუქტების მიღების, მებოსტნეობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტექნიკური მომსახურების) სწავლის შედეგებში პროფესიული ორიენტაციის კომპონენტების ინტეგრირება და მასწავლებლის გზამკვლევში შესაბამისი აქტივობების ასახვა;
ბ) აქტივობების გაწერა განხორციელდება დარგობრივ ექსპერტებთან და პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებთან თანამშრომლობით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა გამოაგზავნოს:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.